



კონკურსი

ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე სამი ობიექტის კერძოდ, სახანძრო დეპოს, ავტოფარეხისა და პერსონალის შენობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით

კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე

ქ. თბილისი, 2015 წელი

საკონკურსო განცხადება

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

წინასწარი ინფორმაცია

ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე, 2014 წელს დაიწყო სამი ობიექტის, კერძოდ, სახანძრო დეპოს, სპეცავტოტექნიკის ფარებისა და პერსონალის საოფისე და მოსასვენებელი შენობის მშენებლობა. მშენებლობას საფუძვლად ედო 2013 წელს მომზადებული პროექტი. სამშენებლო კომპანიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მშენებლობა შეჩერდა 2014 წლის აგვისტოში. ამასთანავე, თავად პროექტიც, მისი დამატებითი შესწავლის შედეგად, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, ძირითადად კონსტრუქციულ ნაწილში. ამავდროულად, 2013 წლის შემდეგ (პროექტის მომზადების პერიოდი) გარკვეულწილად შეიცვალა და გაიზარდა შემსყიდველის საჭიროებები ამ შენობებთან მიმართებაში. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, განახლებული სრული საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება და მის შესაბამისად მშენებლობის გაგრძელება.

ამასთანავე, გამარჯვებულ კონკურსანტს, სამუშაოს გასაადვილებლად, გადაეცემა არსებული პროექტის მასალებიც და საჭიროებისა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებული იქნას არსებული პროექტის ცალკეული ელემენტებიც.

დღეისათვის, სახანძრო დეპოს სამშენებლო მოედანზე მოწყობილია მხოლოდ წერტილოვანი საძირკვლები, ავტოფარების სამშენებლო მოედანზე მხოლოდ საძირკვლის ქვაბულის მიწის სამუშაოები არის ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო პერსონალის შენობას რაც შეეხება, საძირკველი მოწყობილია და ბლოკის მზიდი კედლების დაახლოებით 20-30% არის ამოყვანილი.

1. კონკურსის მიზანი

1.1. კონკურსის მიზანია ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული სამი მშენებარე ობიექტის, კერძოდ, სახანძრო დეპოს, სპეცავტოტექნიკის ფარებისა და პერსონალის საოფისე და მოსასვენებელი შენობის განახლებული სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

- a. სამშენებლო მოედნებზე არსებული ფაქტობრივი ვითარების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით;
- b. შემსყიდველის საჭიროებების შესაბამისად;
- c. ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით.

2. შესყიდვის ღირებულება

2.1. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 33 850 ლარს (დღგ-ს გარეშე).

- 2.2. დღგ-ს გადამხდელი კონკურსანტის გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებისას მის შემოთავაზებულ, დღგ-ს გარეშე ღირებულებას დაემატება დღგ, ხოლო ისეთი კონკურსანტის გამარჯვების შემთხვევაში, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი, მის შემოთავაზებულ ღირებულებას რაიმე თანხა არ დაემატება.
- 2.3. საკონკურსო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს, როგორც საპროექტო მომსახურების ღირებულებას, ასევე საპროექტო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით კონკურსანტის მიერ გასაწევს ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს დღგ-ს გარდა,
- 2.4. შესყიდვის ღირებულება უნდა მოიცავდეს მთელი მშენებლობის განმავლობაში საპროექტო ზედამხედველობის განხორციელების ხარჯს.
- 2.5. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, არ განიხილება.

3. შესყიდული მომსახურებით მიღებული პროექტის სამშენებლო ღირებულება

- 3.1. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ მომზადებული საბოლოო პროექტის სამშენებლო ღირებულება ანუ მის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 750 000 (ერთი მილიონ შვიდასორმოცდაათი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- 3.2. საკონკურსო წინადადება, რომლის მიხედვითაც პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება აღემატება ამ საკონკურსო პირობების 3.1. პუნქტით განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებას, არ განიხილება.

4. შესყიდული მომსახურების მიწოდების ვადა

- 4.1. საპროექტო მომსახურების დასრულება და საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 40 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდული მომსახურებით მიღებული პროექტის განხორციელების ვადა

- 5.1. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ მომზადებული პროექტის განხორციელების (მშენებლობის) ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.
- 5.2. საკონკურსო წინადადება, რომლის მიხედვითაც პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადა აღემატება ამ საკონკურსო პირობების 5.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადას, არ განიხილება.

6. კონკურსში მონაწილეობის ზოგადი პირობები

- 6.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).
- 6.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

- 6.3. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
- 6.4. საკონკურსო პირობების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
- 6.5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ მიიღება.
- 6.6. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარდგენიდან გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ან კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი დასრულდა უაყოფიო შედეგით“ მინიჭებამდე.
- 6.7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული კონკურსანტის მიერ.
- 6.8. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ბუნდოვანების შემთხვევაში, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

7. კონკურსის ორგანიზება

- 7.1. განცხადება კონკურსში მონაწილეების შესახებ და საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით უნდა იქნას წარმოდგენილი 2015 წლის 19 მარტის დილის 10:00 საათიდან 2015 წლის 20 მარტის საღამოს 18:00 საათამდე
- 7.2. განცხადება კონკურსში მონაწილეების შესახებ და საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ადმინისტრაციული შენობა, კანცელარია.
- 7.3. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2015 წლის 23 მარტს, დილის 10:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ადმინისტრაციული შენობა.
- 7.4. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- 7.5. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, ანდა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს დაუსაბუთოს პროცედურის შეწყვეტის საფუძველი ანდა აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

8. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა

- 8.1. საკონკურსო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით და თითოეულ კრიტერიუმს ენიჭება შემდეგი კოეფიციენტი::

- 8.1.1. ტექნიკური დავალების შესაბამისად წარმოდგენილი წინადადება (ესკიზური პროექტი, განმარტებითი ბარათი, შიდა გეგმარების გადაწყვეტა, მასალების სპეციფიკაციები და ა.შ.) კოეფიციენტი - 0.35.
- 8.1.2. საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება.
კოეფიციენტი - 0.3.
- 8.1.3. კონკურსანტის გამოცდილება და მომსახურების პერიოდში კონკურსანტის მხრიდან ჩართული პირების კვალიფიკაცია და გამოცდილება.
კოეფიციენტი - 0,25.
- 8.1.4. საკონკურსო წინადადების ფასი.
კოეფიციენტი - 0.1.
- 8.2. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო წინადადებების შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით.
- 8.3. შეფასების პროცედურა იქნება შემდეგი:
 - 8.3.1. კომისიის თითოეული წევრის მიერ შეფასდება საკონკურსო წინადადების თითოეული კრიტერიუმი 1-დან 10 ქულის ჩათვლით (ქულა უნდა იყოს ნატურალური რიცხვი, ნახევარი ქულის და მისთ. მინიჭება არ ხდება);
 - 8.3.2. შემდეგ თითოეული კრიტერიუმის ქულა გამრავლდება შესაბამისი კრიტერიუმის კოეფიციენტზე;
 - 8.3.3. შემდეგ დაჯამდება კომისიის წევრის მიერ ოთხივე კრიტერიუმით საკონკურსო წინადადებისათვის მინიჭებული ქულები და მიიღება ამ კონკრეტული წევრის მიერ კონკრეტული საკონკურსო წინადადებისათვის მინიჭებული ჯამური შეფასება;
 - 8.3.4. შემდეგ კი, საბოლოოდ, იკრიბება კომისიის წევრების ეს ჯამური შეფასებები თითოეულ საკონკურსო წინადადებისთვის და წინადადება, რომელსაც აღმოაჩნდება ყველაზე მეტი ქულა, მიიჩნევა გამარჯვებულად.
- 8.4. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა;

9. მოთხოვნები კონკურსანტის მიმართ

- 9.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება არქიტექტურული და კონსტრუქციული საპროექტო მომსახურების სფეროში;
- 9.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 5 მსგავსი სირთულის ან უფრო რთული ტიპის და მასშტაბის საპროექტო მომსახურება, რომელთაგან მინიმუმ 3 პროექტი უნდა იყოს განხორციელებული;
- 9.3. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს თავად კონკურსანტის ანალოგიური გამოცდილება. მომავალშიც, თუ მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელს ექნება სუბკონტრაქტორის შეცვლის სურვილი, მან აღნიშნული უნდა შეუთანხმოს შემსყიდველს და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს სუბკონტრაქტორის ცვლილება;

10. კონკურსანტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები და ინფორმაცია

- 10.1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საორგანიზაციო დოკუმენტაცია:

- 10.1.1. კონკურსანტის რეკვიზიტები;
- 10.1.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- 10.1.3. საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე (შესყიდვის ობიექტის ღირებულება) ფასების ცხრილის სახით, საკონკურსო პირობების (მათ შორის, მე-2 მუხლის) გათვალისწინებით (საპროექტო ზედამხედველობის საფასური არ უნდა იყოს მთლიანი ფასის 5%-ზე ნაკლები);
- 10.1.4. ინფორმაციას საპროექტო მომსახურების გაწევის პროცესში ჩართული პირების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (CV-ის სახით). აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც. შემსყიდველი უფლებას იტოვებს, შეამოწმოს მოწოდებული ინფორმაცია.
- 10.1.5. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ შემდეგი ცხრილის სახით (ანალოგიურად სუბკონტრაქტორზეც) - შემსყიდველი უფლებას იტოვებს, შეამოწმოს მოწოდებული ინფორმაცია:

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ					
N	დამკვეთის დასახელება	შესრულებული პროექტის სრული დასახელება	მომსახურების გაწევის პერიოდი	დაპროექტებული შენობის ფუნქციური და ტექნიკური აღწერა	პროექტის განხორციელების სტატუსი

- 10.1.6. ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ, ანუ რა დრო დასჭირდება კონკურსანტს სრული მომსახურების - დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებისთვის;
- 10.2. კონკურსანტმა, ტექნიკური დავალების შესაბამისად, უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა შემდეგი ტექნიკური დოკუმენტაციის სახით:
 - 10.2.1. არქიტექტურული კონცეფცია - ესკიზური პროექტი ავტორისეული ხედვით - შენობის გეგმები (მ/შ სავარაუდო შიდა გეგმარება), ფასადები, რენდერები, შიდა დიზაინის რენდერები - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში დაერთი ეგზემპლარი ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით);
 - 10.2.2. ვრცელი დეტალური განმარტებითი ბარათი სამომავლო პროექტის დაწვრილებითი დახასიათებით, განსაკუთრებით - კონსტრუქციულ გადაწყვეტებისა და კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებების ნაწილში; განმარტებით ბარათში უნდა ჩანდეს მათ შორის სამშენებლო მოედნებზე არსებული ვითარება რა ფორმით იქნება გათვალისწინებული.
 - 10.2.3. სამშენებლო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები), შეძლებისდაგვარად 3D ვიზუალიზაცია (რენდერები),
 - 10.2.4. სამომავლო პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება (გამსხვილებული ხარჯთაღრიცხვის სახით);

11. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ მომსახურების გაწევის ზოგადი პირობები

- 11.1. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს შემსყიდველის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, ადგილზე შეისწავლოს სამშენებლო მოედნებზე არსებული ვითარება, გაითვალისწინოს შემსყიდველის მოთხოვნები და მითითებები და ა.შ.

- 11.2. პროექტი შედგენილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო-ტექნიკური ნორმების სრული დაცვით.
- 11.3. პროექტის ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, ასევე სხვა მოქმედი ნორმების და წესების დაცვით, და ამავდროულად, საბაზრო პირობების გათვალისწინებით, ხარჯთაღრიცხვის რეალურობის უზრუნველსაყოფად.
- 11.4. მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს გადამუშავებული პროექტი, კერძოდ, ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 3 ეგზემპლარად, როგორც A3 ფორმატის ნახეტი მასალა, ისე ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე (PDF და DWG ფორმატით). ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს excel-ის ფაილის სახითაც.
- 11.5. პროექტის საბოლოო სახარჯთაღრიცხვო-სამშენებლო ღირებულება უნდა იყოს ნაკლები ან იგივე, რაც მიმწოდებლის მიერ კონკურსის დროს იყო დაფიქსირებული. დასაბუთებულ შემთხვევაში, საბოლოო ღირებულება შეიძლება მაქსიმუმ 10%-ით აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ კონკურსის დროს დაფიქსირებულ „სამომავლო სამშენებლო ღირებულებას“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ღირებულების ზრდა გამოიწვია შემსყიდველის განსაკუთრებულმა, თავიდან პრინციპულად არარსებულმა მოთხოვნებმა. ნებისმიერ შემთხვევაში, პროექტის სამშენებლო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ამ საკონკურსო პირობების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ თანხას.
- 11.6. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საბოლოო დოკუმენტაცია შემსყიდველის მიერ წარედგინება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“. კვლევის საგანი იქნება პროექტის კონსტრუქციული გამართულობა, მდგრადობა და მზიდუნარიანობა, ასევე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვაში მოცემულ შესასრულებელ სამუშაოებთან. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს შემსყიდველი.
- 11.7. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის ფასების საექსპერტო კვლევის ჩატარების საჭიროებას დამატებით განსაზღვრავს შემსყიდველი და საჭიროების შემთხვევაში ასევე თავად უზრუნველყოფს მის ჩატარებას.
- 11.8. მიმწოდებელი ვალდებული იქნება, დააკორექტიროს პროექტი ექსპერტიზ(ებ)ის შედეგების შესაბამისად.
- 11.9. აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიმართოს მიმწოდებელს საბოლოო პროექტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს პროექტში შემსყიდველის მიერ მითითებული ცვლილებების შეტანა.
- 11.10. წინა პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეცვლილი საპროექტო დოკუმენტაციის ხელახალი ექსპერტიზის აუცილებლობისას, ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს შემსყიდველი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცვლილებები პროექტში გამოწვეული იყო პროექტზე უკვე ჩატარებული ექსპერტიზის უარყოფითი შედეგებით / შენიშვნებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებითი / განმეორებითი ექსპერტიზის ხარჯი დაეკისრება მიმწოდებელს.
- 11.11. მიმწოდებელმა მთელი მშენებლობის განმავლობაში უნდა გასწიოს საპროექტო ზედამხედველობა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროექტანტი და მშენებელი ერთი და იგივე სუბიექტი იქნება), რაც, მათ შორის, მოიცავს ზედამხედველობას მშენებლობის პროექტის

შესაბამისად განხორციელებაზე და ასევე მშენებლობის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პროექტში კორექტივების შეტანას.

- 11.12. პროექტზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციისა და მასზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ცალსახად დადებითი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.
- 11.13. საპროექტო ზედამხედველობაზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მშენებლობის დასრულების შემდეგ.
- 11.14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

12. დამატებითი ინფორმაცია

- 12.1. კონკურსით დაინტერესებულ პირებს, მათი სურვილის შემთხვევაში, საშუალება მიეცემათ, დაათვალიერონ სამშენებლო მოედნებზე არსებული ვითარება.
- 12.2. კონკურსით დაინტერესებულ პირებს სხვა დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიის აპარატში:

საკონტაქტო პირი: ემა უზნაძე

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ადმინისტრაციული შენობა.

ტელეფონი: 2 48 73 38. ელფოსტა: e.uznadze@airports.ge

ტექნიკური დავალება

1. ობიექტების დასახელება:

სახანძრო დეპო, პერსონალის საოფისე და მოსასვენებელი შენობა და ავტოტექნიკის ფარეხი.

2. მდებარეობა:

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია

3. ობიექტების მოკლე აღწერა და გამარჯვებული კონკურსანტის მიერ განსახორციელებელი სამუშაო

3.1. სახანძრო დეპო - არსებული ვითარება

წინა პროექტით შენობა გათვალისწინებული იყო კვადრატული ფორმისა, ღერძებს შორის მანძილით 18მ., ერთმალაიანი, მალის სიგრძე 18მ. მზიდ კონსტრუქცია უნდა შემდგარიყო ლითონის სვეტებით (შემსყიდველის საკუთრებაში არსებული) და წამწებით (ფერმა), წერტილოვან რკ/ბეტონის საძირკვლებზე. შენობა ძირითადად ერთსართულიან ნაგებობად იყო ჩაფიქრებული, მხოლოდ მისი მცირე ნაწილზე დაშენებული იყო მეორე სართული - სათვალთვალო კომპიუტერ სახანძრო სამსახურის დისპეტჩერისთვის.

ობიექტზე მშენებლობა 2014 წლის მაისის თვეში დაიწყო და 2014 წლის აგვისტოში შეჩერებული იქნა. დღეის მდგომარეობით მხოლოდ წერტილოვანი საძირკვლებია მოწყობილი. (იხ. დანართი ნახაზი).

ასევე მხოლოდ საძირკვლებია გაკეთებული სახანძრო დეპოს მიმდებარედ, ორი ლითონის ავზის - წყლის რეზერვუარის კვარცხლბეკების მოსაწყობად.

3.2. სახანძრო დეპო - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ჩასატარებელი სამუშაოები

3.2.1. მიმწოდებელს გადაეცემა არსებული საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა, მიმწოდებელი არ არის შეზღუდული ძველი პროექტის საპროექტო გადაწყვეტილებებით. მან თავისი შეხედულებით უნდა შექმნას განახლებული საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა, შეუძლია გამოიყენოს არსებული პროექტის ელემენტებიც სათანადო გადამუშავებით.

3.2.2. მიმწოდებელმა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს (ნაწილობრივ მაინც) არსებული საძირკვლები, შეაფასოს მათი გამოსადეგობა თავისი პროექტისათვის და საჭიროების შემთხვევაში პროექტის ფარგლებში განსაზღვროს მათი გამაგრების ან/და დამატების თუ გაუქმების საჭიროება და პირობები.

3.2.3. მიმწოდებელს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ შემსყიდველის საკუთრებაში არსებობს 325 X 4 მმ დიამეტრის ლითონის მილები და მიმწოდებელს შეუძლია, თუ შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს, პროექტის შედგენაში გაითვალისწინოს ამ მილების გამოყენება.

3.2.4. მიმწოდებელმა უნდა განისაზღვროს დამატებითი გეოლოგიური კვლევის საჭიროება და თუ საჭიროა, გააკეთოს იგი.

3.2.5. პროექტის არქიტექტურული ნაწილი, მათ შორის, სართულიანობა თუ შიდა გეგმარება უნდა დამუშავდეს შენობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

3.2.6. მაღალ დონეზე უნდა დამუშავდეს პროექტის კონსტრუქციული, ელ.მომარაგების, სანიაღვრე-კანალიზაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, შიდა და გარე წყალმომარაგება-კანალიზაციის და სხვ. პროექტები.

3.2.7. როგორც არქიტექტურული, ისე კონსტრუქციული ნაწილი უნდა დამუშავდეს არსებული წერტილოვანი საძირკვლების მაქსიმალური შესაძლო გამოყენების გათვალისწინებით.

3.2.8. შენობაში განსათავსებელი საჭირო ფართების და მათი ფუნქციურობის ჩამონათვალი ერთვის ტექდავალებას ცხრილის სახით. ცხრილში მითითებული სათავსოთა ფართობები არის საორიენტაციო და შესაძლებელია მათი დაზუსტება კლებისკენ ან მატებისკენ სამუშაო პროცესში, შემსყიდველთან კოორდინაციით.

3.3. პერსონალის საოფისე და მოსასვენებელი შენობა - არსებული ვითარება

წინა პროექტით შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენდა მცირე საკედლე ბლოკი 40სმ სისქის, რომელიც ბოლოვდება რკ/ბეტონის სარტყელით, და მოწყობილია ბრტყელი გადახურვა რკ/ბეტონის ფილით, საძირკველი ლენტურია, ასევე რკ/ბეტონის. შენობა განსაზღვრული იყო, როგორც ერთსართულიანი (იხ. დანართი ნახაზი).

ობიექტზე მშენებლობა 2014 წლის მაისის თვეში დაიწყო და 2014 წლის აგვისტოში შეჩერებული იქნა. დღეის მდგომარეობით გაკეთებულია ლენტური საძირკველი მთლიანად და მზიდი კედლების ნაწილი (დაახლოებით 20-30%).

3.4. პერსონალის საოფისე და მოსასვენებელი შენობა - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ჩასატარებელი სამუშაოები

3.4.1. მიმწოდებელს გადაეცემა არსებული საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა, მიმწოდებელი არ არის შეზღუდული ძველი პროექტის საპროექტო გადაწყვეტილებებით. მან თავისი შეხედულებით უნდა შექმნას განახლებული საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა, შეუძლია გამოიყენოს არსებული პროექტის ელემენტებიც სათანადო დამუშავებით.

3.4.2. მიმწოდებელმა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს (ნაწილობრივ მაინც) არსებული საძირკვლები და კედლები, შეაფასოს მათი გამოსადეგობა თავისი პროექტისათვის და საჭიროების შემთხვევაში პროექტის ფარგლებში განსაზღვროს მათი გამაგრების ან/და დამატების თუ გაუქმების საჭიროება და პირობები.

3.4.3. მიმწოდებელმა უნდა განისაზღვროს დამატებითი გეოლოგიური კვლევის საჭიროება და თუ საჭიროა, გააკეთოს იგი.

3.4.4. პროექტის არქიტექტურული ნაწილი, მათ შორის, სართულიანობა თუ შიდა გეგმარება უნდა დამუშავდეს შენობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

3.4.5. მაღალ დონეზე უნდა დამუშავდეს პროექტის კონსტრუქციული, ელ. მომარაგების, სანიაღვრე-კანალიზაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, შიდა და გარე წყალმომარაგება-კანალიზაციის და სხვ. პროექტები.

3.4.6. როგორც არქიტექტურული, ისე კონსტრუქციული ნაწილი უნდა დამუშავდეს არსებული საძირკვლების და კედლების მაქსიმალური შესაძლო გამოყენების გათვალისწინებით.

3.4.7. შენობაში განსათავსებელი საჭირო ფართების და მათი ფუნქციურობის ჩამონათვალი ერთვის ტექდავალებას ცხრილის სახით. ცხრილში მითითებული სათავსოთა ფართობები არის საორიენტაციო და შესაძლებელია მათი დაზუსტება კლებისკენ ან მატებისკენ სამუშაო პროცესში, შემსყიდველთან კოორდინაციით.

3.5. სპეცავტოტექნიკის ფარები - არსებული მდგომარეობა

წინა პროექტით შენობა გათვალისწინებული იყო მართკუთხა ფორმის, მზიდი კონსტრუქცია - ლითონის სვეტებით და წამწებებით (ფერმა), რკ/ბეტონის წერტილოვან საძირკვლებზე. ნაგებობა ძირითადად იყო ერთსართულიანი, მხოლოდ ნაწილზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი ანტრესოლი.

ობიექტზე მშენებლობა 2014 წლის მაისის თვეში დაიწყო და 2014 წლის აგვისტოში შეჩერებული იქნა. დღეის მდგომარეობით მხოლოდ მიწის სამუშაოებია ჩატარებული კერძოდ გათხრილია საძირკველის ნაწილი, თუმცა პრაქტიკულად ხელახლა არის გასაკეთებელი.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ამ შენობის სამშენებლო მოედანზე მიმწოდებელი ყველაზე ნაკლებად არის შეზღუდული არსებული ვითარებით.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ შენობის გაგრძელება ან წანაცვლება სიგრძეზე შეუძლებელი იქნება, რადგან ერთ მხარეს არის აეროდრომის ბაქანი, მეორე მხარეს კი მიწისქვეშა კომუნიკაცია გადის. შენობის გაგანიერება ან წანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ სიგანეზე, ასაფრენი ზოლისკენ, სამხრეთით (იხ. დანართი გენგეგმის ნახაზი).

3.6. სპეცავტოტექნიკის ფარები - გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ჩასატარებელი სამუშაოები

3.6.1. მიმწოდებელს გადაეცემა არსებული საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა, მიმწოდებელი არ არის შეზღუდული ძველი პროექტის საპროექტო გადაწყვეტილებებით. მან თავისი შეხედულებით უნდა შექმნას განახლებული საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა, შეუძლია გამოიყენოს არსებული პროექტის ელემენტებიც სათანადო გადამუშავებით.

3.6.2. მიმწოდებელმა უნდა შეაფასოს სამშენებლო მოედანზე არსებული არასრული ქვაბულის პირობებში მშენებლობის განხორციელების გზები, იქნება ეს ქვაბულის გამოყენება, მისი გაუქმება და ახლის გაკეთება თუ სხვა და საჭიროებისამებრ ასახოს ეს საპროექტო დოკუმენტაციაში, მომავალი მშენებლისათვის სახელმძღვანელოდ.

3.6.3. მიმწოდებელს შეუძლია გაითვალისწინოს, რომ შემსყიდველის საკუთრებაში არსებობს 325 X 4 მმ დიამეტრის ლითონის მილები და მიმწოდებელს შეუძლია, თუ შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიიჩნევს, პროექტის შედგენაში გაითვალისწინოს ამ მილების გამოყენება.

3.6.4. მიმწოდებელმა უნდა განისაზღვროს დამატებითი გეოლოგიური კვლევის საჭიროება და თუ საჭიროა, გააკეთოს იგი. თუ მიმწოდებელი გადაწყვეტს არსებული ქვაბულის ნაწილების გამოყენებას, მაშინ მის ფსკერს ყველა შემთხვევაში უნდა ჩაუტაროს გეოლოგიური კვლევა.

3.6.5. პროექტის არქიტექტურული ნაწილი, მათ შორის, სართულიანობა თუ შიდა გეგმარება უნდა დამუშავდეს შენობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

3.6.6. მაღალ დონეზე უნდა დამუშავდეს პროექტის კონსტრუქციული, ელ.მომარაგების, სანიაღვრე-კანალიზაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, შიდა და გარე წყალმომარაგება-კანალიზაციის და სხვ. პროექტები.

3.6.7. შენობაში განსათავსებელი საჭირო ფართების და მათი ფუნქციურობის ჩამონათვალი ერთვის ტექდავალებას ცხრილის სახით. ცხრილში მითითებული სათავსოთა ფართობები არის საორიენტაციო და შესაძლებელია მათი დაზუსტება კლებისკენ ან მატებისკენ სამუშაო პროცესში, შემსყიდველთან კოორდინაციით.

4. მასალები / ინფორმაცია, რომლის მიმწოდებლისთვის გადაეცემაც შეუძლია შემსყიდველს

- 4.1. სამივე სამშენებლო მოედნის გეოლოგიური კვლევა;
- 4.2. ტოპოაზომიითი ნახაზები;
- 4.3. არსებული ძველი პროექტი;
- 4.4. დაკვალვის აქტები;
- 4.5. შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების და ფარული სამუშაოების აქტები;
- 4.6. ბეტონის გამოცდის აქტები;
- 4.7. სამშენებლო მოედნების დათვალიერების და შესწავლის საშუალება.

5. საპროექტო მომსახურების დასრულების შემდეგ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- 5.1. დეტალური განმარტებითი ბარათი;
- 5.2. გეოლოგიური კვლევა (საჭიროებისამებრ);
- 5.3. არქიტექტურული პროექტი
(სიტუაციური გეგმა, ღერძები, ვერტიკალური გეგმარება; შენობების გეგმები, ფასადები და ჭრილები, დეტალები, კვანძები, ვიზუალიზაცია და სხვ.);
- 5.4. კონსტრუქციული პროექტი
(ჭრილები, ღერძები, კვანძების მოწყობა, დეტალების დამუშავება, მასალების სპეციფიკაციები, კარების და ფანჯრების ჩამაგრებები, ტიხრების ჩამაგრებები, არსებობის შემთხვევაში ანტრესოლების ჩამაგრებები, შენობების საანგარიშო გათვლები და მოდელები და სხვ.);
- 5.5. ტექნოლოგიური ნაგებობების და მოწყობილობების მოწყობისა თუ ძირითად კონსტრუქციაში ჩამაგრების პროექტი (ავტოტექმომსახურების ორმო ფარეხში, დაახლ. 1,5 ტ. ტვირთამწეობის ტელფერი ფარეხში, სახანძროს რეზერვუარები და სხვ.)
- 5.6. შიდა და გარე ელ. მომარაგების პროექტი;
- 5.7. შიდა და გარე წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტი;
- 5.8. ვენტილაციის პროექტი;
- 5.9. გათბობა-გაგრილების პროექტი (მოთხოვნაა ზამთარი-ზაფხულის რეჟიმის მქონე კონდენციონერების მონტაჟი);
- 5.10. სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების პროექტი;
- 5.11. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
- 5.12. სანიაღვრე და სადრენაჟო სისტემის პროექტი;
- 5.13. ინტერიერის დიზაინი (რენდერები, მასალათა მახასიათებლები)
- 5.14. სუსტი დენების პროექტი - კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები;
- 5.15. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- 5.16. ხარჯთაღრიცხვა.
- 5.17. სრულყოფილი და გამართული საპროექტო დოკუმენტაციისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაცია
- 5.18. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად.

6. სხვა დამატებითი მოთხოვნები

- 6.1. პერსონალის საოფისე და მოსასვენებელ შენობას უნდა ჰქონდეს მისასვლელი და სველი წერტილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
- 6.2. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მიმდებარე გარემოსა და განაშენიანებას;
- 6.3. პროექტი უნდა იქნეს შემუშავებული ისე, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს მაღალი ხარისხის მასალებით, ასევე ძირითადი მოწყობილობები და დანადგარები შერჩეულ უნდა იქნას ისე, რომ მწარმოებლისგან ჰქონდეს სულ მცირე 3 წლიანი ექსპლუატაციის გარანტია.
- 6.4. მიმწოდებელმა პროექტზე სამუშაო პროცესი უნდა წარმართოს ინტენსიური ტემპით, შემსყიდველის წარმომადგენელთა მონაწილეობით, შესთავაზოს შემსყიდველს ოპტიმალურ საპროექტო გადაწყვეტილებათა ვარიანტები შემსყიდველის საჭიროებების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობები და ზუსტდება გაფორმების დროს

ერთის მხრივ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (მის: -----, ტელ: -----, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N-----, ბანკი: -----, კოდი: -----, სკ-----), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ----- სახით და ----- შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.
- 1.8. „ექსპერტიზის დასკვნა“ - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე სამი ობიექტის კერძოდ, სახანძრო დეპოს, ავტოფარეხისა და პერსონალის შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა (CPV კოდი -71300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- დღის განმავლობაში.
- 4.1.2. ღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე განახორციელოს პროექტში შესაბამისი ცვლილებები, ასევე ამომწურავი პასუხი გასცეს შემსყიდველის მხრიდან დასმულ შეკითხვებს;
- 4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
- 4.1.4. შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დამოწმებული სახით.
- 4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- 4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
- 4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
- 4.2.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
- 5.2. ინსპექტირებას განახორციელებენ -----, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირების განხორციელება როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.
- 5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
- 5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმხორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

- 7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
 - 7.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
 - 7.1.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
 - 7.1.3. დაფინანსების წყარო - -----.
- 7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე

დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგინილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

- 14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
- 14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. საერთო პირობები

- 15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი მიმწოდებელი